შ. პ. ს. ჯი აი პი ეი
საპროექტო-სამშენებლო სტუდია

საინჟინრო დასკვნა

ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ატენის შესახვევში გათვალისწინებული სასტუმროს შენობის მახლობლად მდებარე საცხოვრებელი შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ატენის შესახვევში საკადასტრო კოდით 01.14.14.005.242 გათვალისიწნებულია სასტუმროს შენობის აგება.

სასტუმროს შენობა მიწის ზევით რვასართულიანია და აქვს ერთი მიწისქვეშა სართული.

შენობის მზიდ ჩონჩხს ქმნის რკინაბეტონის მონოლითური კარკასი. შენობას აქვს რკინაბეტონის დიაფრაგმები. გადახურვის ფილებიც მონოლითური რკინაბეტონისაა. მიწისქვეშა სართული ჩაღრმავებულია 3.3 მეტრით, ხოლო შენობის საძირკვლის ფუძე ჩაღრმავებულია 4.3 მეტრით.

შენობის საძირკველს ქმნის რკინაბეტონის მონოლითური ფილა.

ნაკვეთის აღმოსავლეთით პროექტით გათვალსიწინებულია მრავალფუნქციური შენობის აშენება, საკადასტრო კოდით 01.14.14.005.248, მიწისზედა შვიდი და მიწისქვეშა ორი პარკინგის სართულით.

შენობის მზიდ ჩონჩხს ქმნის რკინაბეტონის მონოლითური კარკასი. შენობას აქვს რკინაბეტონის დიაფრაგმები. გადახურვის ფილებიც მონოლითური რკინაბეტონისაა. მიწისქვეშა სართული ჩაღრმავებულია 6.6 მეტრით, ხოლო შენობის საძირკვლის ფუძე ჩაღრმავებულია 7.6 მეტრით.

შენობის საძირკველს ქმნის რკინაბეტონის მონოლითური ფილა.

საპროექტო შენობის სამხრეთ და ჩრდილოეთ მხარეს დღეისთვის ცარიელი ტერიტორიაა.

საპროექტო შენობას დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება საცხოვრებელი კორპუსი, საკადასტრო კოდით 01.14.14.005.195, შენობა მიწის ზევით ჩვიდმეტსართულიანია და აქვს ორი მიწისქვეშა სართული.

შენობის მზიდ ჩონჩხს ქმნის რკინაბეტობის მონოლითური კარკასი. შენობას აქვს რკინაბეტონის დიაფრაგმები. გადახურვის ფილებიც მონოლითური რკინაბეტონისაა. მიწისქვეშა სართული ჩაღრმავებულია 6.1 მეტრით, ხოლო შენობის საძირკვლის ფუძე ჩაღრმავებულია 7.1 მეტრით.

შენობის საძირკველს ქმნის რკინაბეტონის მონოლითური ფილა.

არსებული საცხოვრებელი კორპუსი საპროექტო სასტუმროს შენობიდან 5.8 მეტრითაა დაცილებული და მისი საძირკვლის ჩაღრმავება 7.1 მეტრია.

სასტუმროს და მრავალფუნქციური შენობების ქვაბულის მოწყობისას გათვალისწინებულია მის ირგვლივ ოთხივე მხარეს ქანობების მოწყობა.

იმის გათვალისწინებით, რომ არსებულ საცხოვრებელ სახლსა და საპროექტო სასტუმროს შენობას შორის მანძილი 5.8 მეტრია და ამავე დროს, მათი საძირკვლების ჩაღრმავებებს შორის სხვაობა დაახლოებით

სამი მეტრია, საპროექტო შენობის განხორციელება არავითარ საფრთხეს არ შეუქმნის მის მოსაზღვრედ არსებული შენობის მდგრადობას.

ასევე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ტერიტორიები საკადასტრო კოდებით 01.14.14.010.012, 01.14.14.011.048 და ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი დიდი მანძილით არიან დაშორებული ჩვენი ნაკვეთიდან, რომ მასზე რაიმე ზემოქმედება მოახდინოს მშენებლობამ.

კონსტრუქტორი:
ო.ქვრივიშვილი
დირექტორი:



19.11.2018

შ. პ. ს. "ჯი აი პი ენ", საპროექტო-სამშენებლო სტუდია
თბილისი, ა. ყაზბეგის გამზ. 14ბ.
ტელეფონი: (+995) 599 15 00 88
E-mail : gipn.ltd@gmail.com
Web : www.gipn.ge